



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების *Morice v. France*¹ (განაცხადის N29369/10) მოკლე მიმოხილვა

შალვა მხეიძე (სტუდენტი)
ლილი ნოღია (სტუდენტი)
თამარ პაპოშვილი (სტუდენტი)

პროცედურა:

ბატონი მორისი (**შემდეგში განმცხადებელი**) ამტკიცებდა, რომ ცილისწამების ფაქტზე მისი სისხლისსამართლებრივი დასჯა წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლების დარღვევას, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-10 მუხლით.

ფაქტები:

მოსამართლე ბერნარდ ბორელი, რომელიც წარმოადგენდა ტექნიკურ მრჩეველს საფრანგეთსა და ჯიბუტის სახელმწიფოთა თანამშრომლობის ხელშეკრულების საკითხებზე, გარდაცვლილი იპოვეს ქალაქ ჯიბუტიდან მოშორებით არსებულ ქუჩაზე, ტანზე დამწვრობებით, ნახევრად შიშველ მდგომარეობაში. ჯიბუტის საგამოძიებო ორგანოებმა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინეს, რომ ბერნარდ ბორელმა ჩაიდინა თვითმკვლელობა. ბერნარდ ბორელის მეუღლემ - ელიზაბეტ ბორელმა, შეიტანა საჩივარი თვითმკვლელობის დასკვნასთან მიმართებით. აღნიშნული სამართალწარმოების პროცესში ელიზაბეტ ბორელის ინტერესებს იცავდა განმცხადებელი. ზემოაღნიშნული საჩივრის საფუძველზე დაიწყო ორი სისხლისსამართლებრივი გამოძიება სავარაუდო განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სადაც მოსამართლეობა დაინიშნენ მოსამართლეები მ. და ლ.ლ.. გამოძიება მიმდინარეობდა ხარვეზებით მოსამართლეების მ. და ლ.ლ.-ის ქმედებიდან გამომდინარე, რაც გახდა მათი საქმიდან ჩამოშორების საფუძველი. დამატებით, მოსამართლე მ. ფიგურირებდა განხილულ „საენტოლოგიის“ საქმეში, სადაც მოსამართლე მ.-მ გამოიჩინა გულგრილობა და საქმის მასალებიდან დაკარგა საქმისათვის არსებითად მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. აღნიშნულ საქმეში სამართალწარმოების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენდა განმცხადებელი.

ბორელის საქმეზე დანიშნულმა ახალმა მოსამართლემ გამოაქვეყნა ანგარიში საქმის მსვლელობის შესახებ, სადაც აღწერილი იყო მოსამართლე მ.-სა და ლ.ლ.-ის ქმედებები. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე განმცხადებელმა კოლეგასთან ერთად დაწერა წერილი საფრანგეთის იუსტიციის მინისტრის სახელზე, სადაც განმარტავდა, რომ მოსამართლე მ.-სა და ლ.ლ.-ის ქმედებები მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპთან არ მოდიოდა თანხვედრაში და სთხოვდა აღნიშნულთან დაკავშირებით გამოძიების დაწყებას. დამატებით, ზემოაღნიშნული წერილიდან ამონარიდი და ჟურნალისტის მიმართ გაკეთებული განცხადებები იქნა გამოქვეყნებული გაზეთ „Le Monde“-ში. მოსამართლე მ.-მ და ლ.ლ.-მ მოითხოვეს სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყება სავარაუდო ცილისწამების ფაქტზე განმცხადებლის, გაზეთის გამოცემის დირექტორის და სტატიის ავტორის წინააღმდეგ. საბოლოოდ, აღნიშნული პირები ცნობილ იქნენ დამნაშავედ და დაეკისრათ, როგორც ჯარიმის გადახდა, ისე მოსამართლეთა მ.-სა და ლ.ლ.-ის მიმართ ზიანის ანაზღაურება.

¹ გადაწყვეტილების სრული ვერსია

სამართლებრივი დასაბუთება:

სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო საკითხს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ განმცხადებლის სისხლისსამართლებრივი მსჯავრი წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევას, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-10 მუხლით. დამატებით, გასათვალისწინებელია, რომ უფლებაში ჩარევა კანონით იყო გათვალისწინებული, კერძოდ, 1881 წლის 29 ივლისის კანონის 23-ე, 29-ე და 31-ე ნაწილებით. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ უფლებაში ჩარევის მიზანს წარმოადგენდა სხვათა უფლებების ან რეპუტაციის დაცვა. შესაბამისად, სადავო საკითხს წარმოადგენს ჩარევის აუცილებლობა და ამის შესაფასებლად სასამართლომ უნდა დაადგინოს იყო თუ არა პროპორციული დასახული ლეგიტიმური მიზნის და ეროვნული სასამართლოების მიერ დასახელებული საფუძვლები არის თუ არა რელევანტური და საკმარისი.

განმცხადებლის სტატუსი, როგორც ადვოკატი - სასამართლო განმარტავს, რომ სადავო ცილისწამებლური განცხადებები გაკეთებულ იქნა განმცხადებლის მიერ მისი, როგორც ადვოკატის უფლებამოსილების შესრულებისას და შეეხებოდა იმ საკითხებს, რომელიც დაკავშირებული იყო ბორელის საქმის პროცესებთან.

სასამართლო მიუთითებს დამკვიდრებულ პრაქტიკაზე; კერძოდ, ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, იმაზე ხაზგასმით, რომ საჭიროა გაიმიჯნოს განცხადებები გაკეთებული ადვოკატის მიერ სასამართლო დარბაზში და დარბაზის გარეთ. დამატებით, ადვოკატთა სპეციფიკურ სტატუსთან და სამართლის განხორციელებაში მათ როლთან მიმართებით სასამართლო განმარტავს, რომ ადვოკატების ჟურნალისტებთან გათანაბრება დაუშვებელია. მათი თანამდებობა და როლი სამართლებრივ პროცესებში არის მკვეთრად განსხვავებული. ჟურნალისტთა მოვალეობას წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში არსებულ საკითხებზე ინფორმაციისა და იდეების მიწოდება. ადვოკატები, თავისმხრივ არიან პროტაგონისტები სამართლებრივ სისტემაში, უშუალოდ ჩართულები მის ფუნქციონირებაში და მხარის დაცვაში. შესაბამისად, მათი გარე მხარეებთან გათანაბრება, რომელიც საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას, გაუმართლებელია. განმცხადებელი დავობდა, რომ მისი განცხადებები მიმართული იყო მისი კლიენტის დაცვისაკენ. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მისი განცხადებები მიმართული იყო იმ მოსამართლეებისკენ, რომლებიც ჩამოშორებული იყვნენ პროცესებიდან იმ პერიოდისთვის. სასამართლო ვერ ადგენს როგორ შეიძლება ამ განცხადებებს ჰქონდეს პირდაპირი ეფექტი მისი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც განცხადების გაკეთების მომენტისათვის საქმის გამოძიებას უძღვებოდა სხვა მოსამართლე, რომელიც კრიტიკის საგანი არ გამხდარა.

საზოგადოებრივი მსჯელობის საკითხზე წვლილის შეტანა - განმცხადებელი დამატებით მიუთითებს მის უფლებაზე ეცნობებინა საზოგადოებისთვის პრეცედურებთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ და წვლილი შეეტანა საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე დებატებში.

სასამართლომ განმარტა, რომ განმცხადებლის განცხადებები იყო გაკეთებული სასამართლო გამოძიების კონტექსტში. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მედიის მხრიდან არსებობდა მაღალი დაინტერესება, რაც მიუთითებს საზოგადოებაში საკითხისადმი მნიშვნელობის ხარისხის აღქმაზე. დამატებით, აღსანიშნავია, რომ საზოგადოების ინფორმირებულობა ასევე მოხდა შიდა სასამართლოების მხრიდან. კერძოდ, მოსამართლემ 2007 წელს პროკურორს სთხოვა გამოეცა პრეს-

რელიზი, რათა გამოეცხადებინა, რომ სუიციდის თეორიას აღარ განიხილავდნენ და უპირატესობა ენიჭებოდა განზრახ მკვლელობის ვარაუდს.

დამატებით, როგორც სასამართლომ მანამდე დაადგინა, გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებას გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი სისხლისსამართლებრივ საქმეზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და სასამართლო საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადებები ექცევა საჯარო ინტერესის სფეროში. სასამართლომ განმარტა, რომ მანამდე მიღებულ ორ გადაწყვეტილებაში განიხილა ბორელის საქმე და დაადგინა, რომ მსჯელობა მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო იზიარებს იმ არგუმენტს, რომ განმცხადებლის განცხადებები შეეხებოდა სასამართლოს ფუნქციონირებასა და ბორელის საქმის სწორ გაძღვლას, ხვდებოდა საჯარო ინტერესის ფარგლებში. შესაბამისად გამოხატვის თავისუფლება ამ შემთხვევაში დაცული იყო უფრო მაღალი სტატუსით, რაც თავისმხრივ გულისხმობს ხელისუფლების ორგანოთა მხრიდან ჩარევის ვიწრო დისკრეციას.

სადავო განცხადების ბუნება - სასამართლომ გამიჯნა ერთმანეთისგან ფაქტობრივ გარემოებებზე განცხადების გაკეთება, ამავე გარემოებების შეფასებისგან. ფაქტობრივი გარემოებების უტყუარობის დადგენა შესაძლებელია, ხოლო შეფასების უტყუარობის დადგენა შეუძლებელი და არღვევს გამოხატვის თავისუფლებას. მოპასუხეს უნდა მიეცეს საშუალება დაამტკიცოს თავისი განცხადებების ფაქტობრივ გარემოებებთან სიმყარე. რაც მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის პროპორციულობის დადგენისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში ფაქტობრივი საფუძვლები საკმარისად იქნა შესწავლილი. განმცხადებლის აზრი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქმესთან. მის მიერ გაკეთებული კომენტარები ვერ ჩაითვლება შეცდომაში შემყვანად ან უსაფუძვლო თავდასხმად. სასამართლომ აღნიშნა, რომ გამოხატვის თავისუფლება იცავს შეურაცხმყოფელ, შოკისმომგვრელ და შემაწუხებელ აზრის გამოხატვასაც.

საქმის გარემოებები

მთელი კონტექსტის გათვალისწინება - მე-10 მუხლზე მსჯელობისას გათვალისწინებულ უნდა იქნას გარემოებებისა და გაკეთებული განცხადებების კონტექსტი. კერძოდ, განმცხადებელმა და მისმა კოლეგამ მოსამართლის მიერ მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპის დარღვევაზე მისწერეს იუსტიციის მინისტრს. განმცხადებლის მიერ პასუხის გაცემისას ჟურნალისტისთვის, თავისი წყაროდან, უკვე ცნობილი იყო წერილის შესახებ. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელი პასუხისმგებელი ვერ იქნება პრესაში გამოქვეყნებული ინტერვიუს გამო ან პრესის მოქმედებების გამო. სასამართლოებმა აღიარეს მხარეთა შორის კონფლიქტი, ამიტომაც მოცემულ შემთხვევაზე მსჯელობისას ეს ნაკლებ აქტუალურია. განცხადებები არ წარმოადგენდა პირად შუღლს, არამედ მოსამართლესა და ადვოკატს შორის ურთიერთობას. განცხადებების დახმარებით, დადასტურებული ფაქტების საფუძველზე, შესაძლებელი იყო მართლმსაჯულების სისტემაში ხარვეზების გამოვლენა. განცხადებები ეხებოდა სასამართლო გამოძიების წარმოებას, რაც საინტერესოა საზოგადოებისთვის. ადვოკატს უნდა შეეძლოს გაამახვილოს საზოგადოების ყურადღება მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ პრობლემებზე.

სასამართლოს ავტორიტეტის შენარჩუნება - მოსამართლეების გამოსვლა, განსხვავებით ადვოკატებისა, აღიქმება ობიექტურ შეფასებად. მოსამართლეს ვერ ექნება რეაგირება ამიტომაც,

აუცილებელია სასამართლო სისტემის დაცვა უსაფუძვლო თავდასხმისგან, თუმცა, ამის გამო ვერ შეიზღუდება გამოხატვის თავისუფლება მაღალი ინტერესის მქონე საკითხებზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის კომენტარები ვერ მოახდენდნენ უარყოფით გავლენას სამართალწარმოებაზე, ვინაიდან მისი კრიტიკის ადრესატი მოსამართლეები ჩამოშორებულნი იყვნენ საქმეს. კრიტიკა არ ეხებოდა არც ახალ მოსამართლეს და არც ზემდგომ სასამართლოებს. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების სისტემაში მხარეებს შორის ურთიერთობა ურთიერთპატივისცემას უნდა ემყარებოდეს.

ხელმისაწვდომი დაცვის მექანიზმების გამოყენება - ადვოკატმა კლიენტი უნდა დაცვას სასამართლოში და არა მედიაში. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის განზრახვა იყო ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის ზომების გამოყენება, ვინაიდან მან მიმართა სასამართლოს. სამართალწარმოების დაწყებიდან გასული იყო ოთხ წელიწად-ნახევარი და ჯერაც არ იყო დასრულებული. განმცხადებელი სხვებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა პროცესში და წარმატებასაც მიაღწია. იუსტიციის მინისტრისთვის მიმართვა წარმოადგენდა ადმინისტრაციული გამოძიების დაწყების თხოვნას.

დაკისრებული სანქციები - სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ დაკისრებული სანქციები არ იყო „ყველაზე მსუბუქი“ და მეტიც, ადვოკატის სტატუსის გამოყენება სანქციის გამკაცრების საფუძვლად იყო არამართებული.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება ცილისწამებაში თანამონაწილეობისთვის შეიძლება მიჩნეულ იქნას გამოხატვის თავისუფლებაში არათანაზომიერ ჩარევად და შესაბამისად, არ ჩაითვლება აუცილებლად დემოკრატიულ საზოგადოებაში, კონვენციის მე-10 მუხლის მიზნებისთვის. ამიტომაც, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა.